ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 26 თებერვლის

ოქმი №2

სხდომას ესწრებოდა: 28 წევრიდან - 17

დღის წესრიგი:

1. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის საკონკურსო კომისიის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
2. ცვლილებები საფაკულტეტო კურიკულუმში
   მომხს: დ. ოსეფაშვილი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ. შ., პროფესორი

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოლეგიის შექმნა
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი

4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის წესის განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი

5. სტუდენტთა დაფინანსების წესის განხილვა-დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი

6. ცვლილებები ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიაში
   მომხს: ნ. დურგლიშვილი, ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, ასოცირებული პროფესორი

7. ცვლილებები ფაკულტეტის საატესტაციო კომისიაში
   მომხს: ნ. დურგლიშვილი, ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, ასოცირებული პროფესორი

8. სტუდენტური ელექტრონული ჟურნალის პროექტის პრეზენტაცია

მომხს: დ. სიჭინავა, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების დოქტორანტი

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეთ სთხოვა სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის საკონკურსო კომისიისთვის კანდიდატურების დასახელება.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვა.

დაადგინეს: დამტკიცდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ვალერიან მელიქიძე – კომისიის თავმჯდომარე, დეკანის მოადგილე; საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება, ასოცირებული პროფესორი;
2. ზურაბ დავითაშვილი – საერთაშორისო ურთიერობების მიმართულება, პროფესორი;
3. იაგო კაჭკაჭიშვილი – სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება, ასოცირებული პროფესორი;
5. ალექსანდრე კუხიანიძე – პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება, პროფესორი;
6. ირა ბიჭიკაშვილი – ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება, ასოცირებული პროფესორი
7. გიორგი კაკაურიძე – სტუდენტი, სათათბირო ხმით.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ. შ. დალი ოსეფაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა ფაკულტეტის კურიკულუმში განსახორციელებელი ცვლილებები.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, თ. მახარაძემ, ნ. მაჭარაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოდგენილი სახით (თან ერთვის).

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე თ. დოლბაიამ, ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოლეგიის შექმნის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, დ. ოსეფაშვილმა, თ. მახარაძემ, ნ. მაჭარაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: გადაიდოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოლეგიის შექმნის საკითხის განხილვა.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, თ. დოლბაიამ წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის წესის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, დ. ოსეფაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, თ. მახარაძემ, ნ. მაჭარაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა და სხვა.

დაადგინეს: სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის წესი მთლიანობაში მისაღებია მაგრამ უნდა დაზუსტდეს პუნქტი, რომელიც ეხება ჯგუფურ დაცვებს, ამიტომ საკითხი გადაიდო შემდგომი განხილვისთვის.

მოისმინეს: 5. სტუდენტთა დაფინანსების წესის პროექტი წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე თ. დოლბაიამ.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ზ. დავითაშვილმა, გ. კაკაურიძემ, თ. მახარაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სტუდენტთა დაფინანსების წესი წარმოდგენილი სახით (თან ერთვის).

მოისმინეს: 6. ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიაში ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა ნ. დურგლიშვილმა.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, თ. მახარაძემ, ნ. მაჭარაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: განხორციელდეს ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიაში ცვლილებები და კოლეგიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ფაკულტეტის დეკანი თამარ დოლბაია.

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის საატესტაციო კომისიაში ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა ნ. დურგლიშვილმა.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, თ. მახარაძემ, ნ. მაჭარაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: განხორციელდეს ფაკულტეტის საატესტაციო კომისიაში ცვლილებები და კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ფაკულტეტის დეკანი თამარ დოლბაია.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემადგენლობა

1. დოლბაია თამარ – საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

კომისიის წევრები:

1. კაჭკაჭიშვილი იაგო – სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
2. მაცაბერიძე მალხაზ – პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
3. გოგსაძე გოგი – საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
4. გერსამია მარიამ – ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი,
5. პროფესორი
6. დავითაშვილი ზურაბ – საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
7. ოსეფაშვილი დალი – ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შენსრულებელი, პროფესორი
8. მონიავა ნათია – ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის მდივანი

მოისმინეს: 8. საფაკულტეტო სტუდენტური რეფერირებადი ელექტრონული ჟურნალის პროექტის პრეზენტაცია წარმოადგინა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების დოქტორანტმა დ. სიჭინავამ.

აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა, მ. გერსამიამ, თ. მახარაძემ და სხვა.

დაადგინეს: მოწონებული იქნა საფაკულტეტო სტუდენტური რეფერირებადი ელექტრონული ჟურნალის პროექტი და ცნობად იქნა მიღებული, რომ პირველი ნომრის პრეზენტაცია შედგება 2015 წლის ივნისში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თამარ დოლბაია

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ნ. დურგლიშვილი ნინო დურგლიშვილი

26 აგვისტო, 2015.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. ალექსანდრე რონდელი
9. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკის მიმართულება

14. მარიამ გერსამია
15. დალი ოსეფაშვილი
16. მარი წერეთელი
17. მანანა შამილიშვილი
18. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

19. ნინო პავლიაშვილი
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია

სტუდენტური თვითმმართველობა

22. შალვა საბაური
23. გიორგი კაკაურიძე
24. თორნიკე ცინაძე
25. მაგდა გიბიშვილი
26. გიორგი როგავა
27. გვანცა გავაშელი
28. ტარიელ ირემაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს
ქალბატონ თამარ ვეფხვაძეს

ქ-ნო თამარ,

გთხოვთ, ჩვენს მიერ გამოგზავნილ შუამდგომლობის წერილში N795/30-03 02.03.2015 (ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 თებერვლის სხდომის ოქმი N2), რომელიც პროგრამულ ცვლილებებს ეხება, დაემატოს კიდევ 2 პუნქტი.

- საბაკალავრო პროგრამაზე „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ *(დანართი 34)* საბაკალავრო ნაშრომს წინაპირობად განესაზღვროს არჩევითი კურსი „მედიის კვლევის მეთოდები“;
- საბაკალავრო პროგრამას „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ-რუსულენოვანი)“ *(დანართი 35)* დაემატა რუსულენოვანი არჩევითი კურსები: „ფსიქოტექნოლოგიები საერთაშორისო ურთიერთობებში“ 5კრ. და „ლობიზმი და მისი როლი თანამედროვე სამყაროში“, 5კრ;
- სამაგისტრო პროგრამას „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ *(დანართი 64)* დაემატა 10 თავისუფალი კრედიტი და არჩევითი ინგლისურენოვანი კურსი; „აღმოსავლეთ ევროპის განვითარების სცენარები“, 5 კრ;
- სამაგისტრო პროგრამაზე „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დანართი 62) სავალდებულო კურსს „აკადემიური წერა“ მოეხსნას სტატუსი და გახდეს არჩევითი.
- სამაგისტრო პროგრამაზე „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“ (ინგლისურენოვანი პროგრამა) *(დანართი 56)* კურსს „საერთაშორისო ომი და მშვიდობა“ (5კრ). მოეხსნას სავალდებულო სტატუსი და გახდეს არჩევითი;
- სადოქტორო პროგრამაზე „საერთაშორისო ურთიერთობები“ *(დანართი 199)* სავალდებულო კომპონენტიდან ამოღებულია ე. წ. პრერეკვიზიტი კურსები.

პატივისცემით,
თამარ დოლბაია
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი

დალი ოსეფაშვილი
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
05. 03.2015

ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიები

1. **თამარ დოლბაია** – საფაკულტეტო საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი
2. **იაგო კაჭკაჭიშვილი** – სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
3. **თამაზ ჯოლოგუა** – ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
4. **ალექსანდრე რონდელი** – საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე
5. **მალხაზ მაცაბერიძე** – პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
6. **ამირან ბერძენიშვილი** – პროფესორი
7. **ვალერიან მელიქიძე** – დეკანის მოადგილე

დარგობრივი კოლეგიები:

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება:

1. **თამარ დოლბაია** –ასოცირებული პროფესორი
2. **რევაზ გაჩეჩილაძე** – პროფესორი
3. **გიორგი გოგსაძე** – კომისიის თავჯდომარე, პროფესორი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება:

1. **მალხაზ მაცაბერიძე** – კომისიის თავჯდომარე, პროფესორი
2. **ნანა მაჭარაშვილი** – ასოცირებული პროფესორი
3. **კორნელი კაკაჩია** – პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება:

1. **ალექსანდრე რონდელი** – კომისიის თავჯდომარე, პროფესორი
2. **ზურაბ დავითაშვილი** – პროფესორი
3. **სერგი კაპანაძე** – პროფესორი

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება:

1. **იაგო კაჭკაჭიშვილი** – კომისიის თავჯდომარე
2. **ამირან ბერძენიშვილი** – პროფესორი
3. **მარინა ბურძენიძე** – ასოცირებული პროფესორი

4. **თამარ მახარაძე** –ასოცირებული პროფესორი
5. **სალომე ნამიჭეიშვილი** – ასისტენტ პროფესორი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება:

1. **თამაზ ჯოლოგუა** – კომისიის თავჯდომარე
2. **მანანა შამილიშვილი** – ასოცირებული პროფესორი
3. **მაია ტორაძე** –ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. მიზანი

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი") სტუდენტების მონაწილეობის

ფინანსური უზრუნველყოფის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართვას საერთაშორისო სასწავლო და კვლევითი პროექტების, ასევე პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.

მუხლი 2. დაფინანსების მოთხოვნის უფლების მქონე პირი

დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვს ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტს ამ წესის მუხლი 3-ის შესაბამისად.

მუხლი 3. დაფინანსების ობიექტები

3.1. ფაკულტეტის მიერ შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი კატეგორიის აქტივობები:

3.1.1 სასწავლო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის;

3.1.2 კვლევით პროექტებში მონაწილეობა (მხოლოდ სწავლების ბოლო საფეხურზე მყოფი სტუდენტებისათვის);

3.1.3 საერთაშორისო საუნივერსიტეტო კონფერენციებში (კონგრესებში, სიმპოზიუმებში) მონაწილეობა (მხოლოდ მომხსენებლებისთვის) სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის;

3.1.4 საერთაშორისო მოდელირებებში მონაწილეობა (მხოლოდ სწავლების პირველი საფეხურის სტუდენტებისათვის);

3.1.5 ს ა ზაფხულო/ ზამთრის სკოლების მუშაობაში მონაწილეობა (თუ კრედიტებს ანიჭებენ).

3.2. არ ფინანსდება გაცნობითი, კულტურული გაცვლისა და არასაგანმანათლებლო ფორუმები (ყრილობები, შეხვედრები, მრგვალი მაგიდები და ა.შ.)

მუხლი 4. ანაზღაურების ოდენობა, დასაბეგრი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

4.1 ბაკალავრიატის სტუდენტისათვის:

4.1.1 არაუმეტეს 1250 ლარის (კავკასია, ევროპა, რუსეთის ევროპული ნაწილის ჩათვლით, თურქეთი, ირანი, ისრაელი);

4.1.2 სხვა რეგიონებში გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 1500 ლარის;

4.2. მაგისტრატურის სტუდენტისათვის:

4.2.1. არაუმეტეს 2000 ლარისა (კავკასია, ევროპა, რუსეთის ევროპული ნაწილის ჩათვლით, თურქეთი, ირანი, ისრაელი);

4.2.2. სხვა რეგიონებში გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 2250 ლარისა;

4.3. დოქტორანტურის სტუდენტისათვის:

4.3.1. არაუმეტეს 2250 ლარისა (კავკასია, ევროპა, რუსეთის ევროპული ნაწილის ჩათვლით, თურქეთი, ირანი, ისრაელი);

4.3.2. სხვა რეგიონებში გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 2500 ლარისა.

4.4.საქართველოს შიგნით კონფერენციებსა და საზაფხულო/ზამთრის სკოლებში მონაწილეობა ფინანსდება არაუმეტეს 500 ლარისა.

4.5. ფინანსდება მხოლოდ სარეგისტრაციო, მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები.

4.6. სასწავლო გაცვლით პროგრამებში და კონფერენციებში მონაწილეობა ფინანსდება 100 %-ით, ან დაფინანსების ლიმიტის მაქსიმუმის ფარგლებში, თუ მოთხოვნილი თანხა ასეთ ლიმიტს აღემატება. კონფერენციის მოხსენების ორი ან მეტი თანაავტორის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსდეს ერთი მომხსენებელი ან დაფინანსების თანხა განაწილდეს თანამომხსენებლებს შორის (სტუდენტების არჩევანით).

4.5. მოდელირებებში, კვლევით პროექტებში და საზაფხულო სკოლებში მონაწილეობა ფინანსდება 50-75 %-ით.

მუხლი 5. სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

5.1. დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგიონოს დეკანის სახელზე დაწერილი განცხადება და მას უნდა დაურთოს:

5.1.1 მოწვევა უცხო ენაზე, უცხოური ორგანიზაციის/უნივერსიტეტის ოფიციალურ ბლანკზე და მოწვევის ქართული თარგამანი, დამოწმებული მთარგმნელის მიერ, ხელმოწერითა და ბეჭდით. ქართულ–უცხოური ორგანიზაციის მიერ გაცემული მოწვევა არ განიხილება. მოწვევაში მითითებული უნდა იყოს, რომ მოხსენება (სათაურის მითითებით) მიღებულია კონფერენციაზე წარსადგენად.

5.1.2 მგზავრობის ინვოისის დედანი ან გადახდის ქვითარი;

5.1.3 აქტიური სტუდენტის ცნობა;

5.1.4 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც გაამყარებს

საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებაში მისი მონაწილეობისა და დაფინანსების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

მუხლი 6. სამივლინებო კომისია

1. სტუდენტის სრული, ან ნაწილობრივი დაფინანსების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, დეკანის ბრძანებით ფაკულტეტზე იქმნება სტუდენტთა სამივლინებო კომისია (შემდგომში - „კომისია"), რომლის შემადგენლობაში შედის ყველა მიმართულებიდან თითო პროფესორი, ასევე ფაკულტეტის საბჭოს და თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი თითო სტუდენტი. კომისიას თავმჯდომარეობს დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში.
2. კომისია იკრიბება თვეში ერთხელ, თვის პირველ ხუთშაბათს. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
3. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის სხდომის შედეგები ფორმდება ოქმით.
5. სტუდენტთა განცხადებების განხილვის საფუძველზე, კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღება, წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანის მიერ თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის საფუძველს.

დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. ოქმი #2, 26 თებერვალი, 2015